გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის და აკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ქვლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

(მეოთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)

2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.

5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.


ტფილისი, 18 ნოემბერი

დიდ გაჭირვებაშია დღეს საფრანგეთის მთავრობა. პანამის საქმემ აალაპარაკა მთელი ევროპა, დიდი და პატარა პანამის საქმის გარჩევა-განკითხვაშია; მანვე ინაცვალა ლუბეს სამინისტრო და შეიძლება სხვასაც ბევრს მოუღოს ბოლო.

მოგეხსენებათ, რომ საფრანგეთის ინჟენერმა, „დიდმა ფრანგმა“ ფერდინანდ ლესეპსმა, თითქმის სასწაულთ-მოქმედება ჩაიდინა, გასჭრა სუეზის არხი და შეუერთა ხმელთა შუა ზღვა ინდოეთის ოკეანეს. ამ ზღვის გზით ევროპა დიდად დაუახლოვდა ინდოეთს და მადლობით იხსენიებდა სახელს ლესეპსისას, რომელმაც ასეთი სამსახური გაუწია ევროპის ვაჭრობას.

რამდენისამე ხნის შემდეგ ლესეპს მოუვიდა ერთი გენიოსური აზრი, გაიყვანოს არხი პანამაში და მით შეუერთოს ოკეანე ატლანტისა დიდს ოკეანეს. ფრანგი გატაცებული და თავმოყვარე კაცია. ოღონდ-კი სახელი მოიხვეჭოს და საქმეს თავს შეაკლავს, შეუძლებელს შეიძლებს. პანამის საქმეც სწორედ ასეთი იყო. სიგძე პანამის ყელისა ოთხმოც ვერსზედ მეტია, შუაგულ ალაგას კაი მოზრდილი მთა-გორდილიიერი სძევს. ეს კიდევ არაფერი, ერთის ოკეანეს ზედაპირი უფრო მაღალია მეორეზედ. ყველა ეს დაბრკოლება ტეხნიკურის მხრივ თითქმის დაუძლეველია, მაგრამ აკი მოგახსენეთ, ფრანგისათვის დაბრკოლება არ არსებობს. მარტო ის რადა ჰღირდა, რომ მთელი ევროპა ხელმეორედ მადლობით მოიხსენებდა ფრანგის სახელს!

აი ამის გულისათვის მთელმა საფრანგეთმა ხელი შეუწყო ლესეპს და დიდი ფული მისცა. საქმეს შეუდგნენ; ფული გამოილია. საფრანგეთმა ხელმეორედ დიდი ფული მისცა თავის სახელოვანს კაცს, ისიც დაიხარჯა და არხი-კი ვერ იქმნა გაყვანილი. ხმა გავარდა, პანამის საქმე ცუდად არისო, საზოგადოება კოტრდებაო. ფრანგნი შეჰკრთნენ, შეფიქრიანდნენ. დასაფიქრებელი საქმეც იყო: აუარებელი ქონება ჩაჰყარეს, წვითა და დაგვით მოგროვილი ორიოდე გროში შავის დღისთვის მაგ საქმეს მოახმარეს და ხელცარიელი ულუკმა-პუროდ რჩებოდნენ. მთელი საფრანგეთი აღელდა, გამოიძიეთ ეს სიბნელით მოცული საქმეო. მაშინ პანამის საქმის გამგეთ, იმ ანდაზისა არ იყოს, „წყალ-წაღებული ხავსს ეკიდებოდაო“, შეუდგნენ გავლენიან კაცთა მოსყიდვას. დაჰქრთამეს ყველა, ვისაც-კი ხმა და რიხი ჰქონდა, ზოგს მისცეს ფული, ხმას ნუ ამოიღებ, ჩუმად ბძანდებოდეო, ზოგს კიდევ—თქვენის გავლენით დაგვეხმარეთო. ერთის სიტყვით ამ ვაჟბატონებს დაუქრთამავთ ყველანი, ვისაც-კი ქრთამის აღების მადა გამოუჩენია: ჟურნალისტები, დეპუტატები, თვით მინისტრები და მრავალი სხვა.

რესპუბლიკის მთავრობას სახელი გაუტყდება, თუ მართლა მინისტრებს და დეპუტატებს ქრთამი უღიათ. ჯერ ევროპას გრევის სიძის, ვილსონის საზიზღარი საქციელი, ვაჭრობა ორდენებით, არ დავიწყებია და ახლა კიდევ ეს უბედური პანამის საქმე გატყვრა. ფერდინანდი ლესეპსი, ეიფელი, რომელთა სახელითაც საფრანგეთი სამართლიანად თავს იწონებდა, დღეს მოსამართლის წინაშე სდგანან, როგორც ბოროტ-მოქმედნი. მთელი საფრანგეთი სირცხვილით იწვის და ამისთვისაც ამ დიდ მნიშვნელოვან საქმეს ასეთს დიდს ყურადღებას აქცევს განათლებული ევროპა.

მეორე საყურადღებო საგანი ემსის დეპეშის შინაარსის გამოქვეყნებაა. დღემდის ყველას ეგონა, რომ ომი საფრანგეთმა გამოუცხადა გერმანიას; რომ ვითომ გერმანიას მეტი ჯანი აღარა ჰქონდა, მტერი უნდა მოეგერებინა და საომრად მომზადებულიყო. მაშასადამე, თუ ვინმეა დამნაშავე იმ უბედურებაში, რაც გერმანიისა და საფრანგეთის ომს მოჰყვა 1870 წ. ისევ საფრანგეთია და სხვა არავინაო.

ემსის დეპეშის გამოქვეყნებით სულ სხვა ნაირი ნათელი მოეფინა ამ ამბავს. საქმის გარემოებიდგან სჩანს, რომ თ. ბისმარკს თავისებურად გადაუკეთებია ემსის დეპეშა, შეუცვლია და ისეთი კილო მიუცია, როგორიც სრულებითაც არა ნდომებია განსვენებულ ვილჰელმს. ერთის სიტყვით, ბისმარკს მოხერხებით შეუდგენია ემსის დეპეშა და ომი გამოუცხადებია საფრანგეთისათვის. თ. ბისმარკი თავის გასამართლებლად იმას ამბობს, რომ გერმინია უნდა გამეერთიანებინა; ამისათვის საჭირო იყო მთელ გერმანიას მიეღო მონაწილეობა საფრანგეთთან ბრძოლაში, რომ ამ ომში მონათლულიყო, სისხლის ემბაზში ამოვლებულიყო ჩვენი ქვეყანა, და ჩვენის მუდმივის მტრისთვის—საფრანგეთისთვის ჭკუა გვესწავლებინაო, რადგან საფრანგეთი ცუდის თვალით გვიყურებდა მას შემდეგ, რაც ჩვენ 1866 წ. ავსტრია დავამარცხეთ სადოვასთანაო.

ასეა თუ ისე, დღეს საფრანგეთს აეხადა ის ბრალი, ვითომ ის იყო მიზეზი წარსულის, მისთვის უბედურის, ომისა. თითო-ოროლა გაზეთს, მაგ. ფიგაროს, კიდეც ჰგონია, რომ რა-კი დამნაშავენი გერმანელები არიან, შეიძლება, ელზას-ლოტარინგიის საქმე მშვიდობით გავათავოთ და უომრად დაგვიბრუნონო. ეს რომ ისე მოხდეს, როგორც გაზეთს ჰგონია, მაშინ, შესაძლოა, რუსეთისა და საფრანგეთის მეგობრობას დღევანდელი სიმტკიცე დაეკარგოს.

პანამისა და ემსის დეპეშის საქმემ მიიქცია ყურადღება ევროპისა და თითქმის შეუმჩნევლად ჩაიარა ჩვენთვის დიდად საყურადღებო შებრძოლებამ ავსტრიის გერმანელთა და ჩეხთა დეპუტატებისამ. როგორც ნაკადული, შეგუბებული მთიდან ჩამოწოლილის ზვავით, უცბად გაირღვევს გოდორყურებს, როცა საკმარისს ძალას მოიპოვებს, გაარღვევს, გავა სამშვიდობოს, სწორედ ისევე დაემართათ ჩეხის დეპუტატებსაც. ორმოცი წელიწადია თავ-განწირვით ებრძვიან ეს სამაგალითო მამულის შვილნი ავსტრიას და ითხოვენ, ჩვენც სრული თავისუფლება მოგვეცით, როგორც თქვენა და ვენგრიელებსა გაქვთო. მთავრობა ნელ-ნელა უსრულებდა წვრილმან სათხოვარს, მაგრამ სრულს ავტონომიას, თავისუფალ გამგეობას, როგორც ვენგრიამ იშოვა, არ აძლევდა ჩეხებს. ჩეხები კიდევ თავისას არ იშლიან და წარსულ კვირას მოხდა რეიხსტაგში შებრძოლება, რომლისთანა მაგალითი არ ვიცით მთელ კაცობრიობის ისტორიაში. ჩეხის დეპუტატმა და პროფესორმა მაზარიკმა წარმოსთქვა სიტყვა, რომ ჩეხიას ისეთივე სახელმწიფო უფლება აქვს, როგორიც ავსტრიასა და ვენგრიას, რომ ეს უფლება აღიარებულია თვით იმპერატორისაგან, მაგრამ არა სრულდება, ხორცს არ ისხავს, რადგან ავსტრიის გერმანელნი ჩვენი მოსისხლე მტერნი არიანო. მაზარიკის სიტყვამ დიდად გააცეცხლა გერმანელი პროფესორი მენგერი, რომელმაც არც აცივა, არც აცხელა და მაზარიკს სახელმწიფოს მოღალატე უწოდა და ასეთი სიტყვები მიახალა: თქვენის სურვილის ასრულებას ისა სჯობიან, რომ მტარვალი გვყავდეს უფროსადაო. დეპუტატმა მარრემ მიაძახა: სულ ჩვენი ბრალია, ჩეხებს გერმანულად ვასწავლეთ ლაპარაკი და დახეთ ეხლა როგორ გვიხდიან მადლობას! ყრილიყვნენ თავიანთვის, ელაპარაკნათ ჩეხურად და ემმაკსაც წაეღო მაგათი თავიო. გერმანელ დეპუტატების ასეთმა თავ-დაუჭერელმა ლაპარაკმა საშინლად გააბრაზა მლადო-ჩეხები, რომელნიც წამოცვინდენ სკამებიდან და,

# ფელეტონი

## პოლოსას ელდა

სცენა სწარმოებს სარაჯხანაში. ნალზედ ჰზის ძველის-ძველი, დიდად შეძლებული სირაჯი პოლოს ავეტიჩი, დარბაისლად ფეხ-მოკეცილი. პირდაპირ უზის დაზგაზედ ფეხებ-ჩამოკიდებული ცხრამეტისოცის წლის ნასწავლი, მაგრამ ცუდად მოსიარულე შვილი—პეტრუზ პოლოსიჩი. შვილსა და მამას შუაში უდგათ ნახევარ ჩარექი ღვინო და თეფშით ორიოდე ნაჭერი პური, ყველის ანაჭერი და სამი ფოჩი ქონდარი. მამა სტუქსავს შვილს, ჭკუას არიგებს, თავისს დარდს უზიარებს.

ჴზოლოს ავეტიჩი ჰარამზადა დრო მოდის, პეტრუზ, ჰარამზადა. მახლას, ჩვენი დოპრანიც წავიდა, ჩვენი ბაფაც გატყდა. ვინ იცის, ისეთი დრო დადგეს, რომ, ლუკმა პურის მალიათი რა არის, ისიც-კი გვენატრებოდეს. ვაა, ვერა ჰხედავ, რომ ხალხი ჭკუაზედ მოდის!.. ქართველიც-კი ისე გაეშმაკდა, რომ ერთი ქათმის კვერცხი ძროხის ფასად ჰყიდის. მოდი და იმისაგან ხეირი ჰნახე! ამ ოხერ ქვეყანაშიაც ჭკუა შემოვიდა. იცოდე, შვილო, რომ რამდენიც ტუტუცია ხალხი, იმდენი ხეირია იმასთან საქმის დაჭერა, აღებ-მიცემობა, სოვდის ქნა. მაშ არა-და, მამა გიცხონდა, ფილოსოფის ჭკუა გაქვს, კარაბადინებს დასწერ აი!.. ვა, თვალი გაალე-და, დრო სულ წინ მიგორავს, ჩარხი ტრიალებს, თავში ტვინი სქელდება... შენ-კი, ვირის თავო, აგილია თავი, მამაჩემს ფული აქვსო, უსაქმოდ კლუბებში ზაჰრუმალა გაგიმართავს. ეე, მუნდრეგ, ტვინი მოიკრიფე-და. მაგიტომ გაგზარდე ღიმნაზიაში, შენი წონა ფული დამიხარჯამს შენზედ, რა წვალება, რა ემე არ მიქნია, კაცად გავხადო-მეთქი. სამი კლასი ისე ვაინაჩრობით გაგათავებინე, როგორც ვირს სახრით ძალათი ტალახში გაატარებენ ხოლმე. მერე, რა გამოვიდა?!. რაც ჩოჩორი იყავ, ისევ ის ვირი გახდი. ესტი პუპუზ, ენდი პუპუზ, შიგ რა ყრიადა! ერთი მითხარ, ექვსი წელიწადში რა ისწავლე?.. სამ-კლასიანი გოგრა გაქვს, აბა ერთი რუმბი გაზერე, ან ქართული თამასუქი დაწერე! ყველაფერს ჯანი გავარდეს, წიგნი მაინც გესწავლა. დავთრები ვერ გიანგარიშნია, იმ დღეს მოსულხარ, „მამა ნახევარი თუნგი ტ რა უნდა იყოსო?“ ეგეც ვერ გასწავლეს ექვს წელიწადში, რომ „ტ“ ექვსი შაურია. ახრ, წელიწადში ერთი შაური რო ესწავლებინათ, ექვსი წლის უკან „ტ“ გეცოდინებოდა. ვა, ვერა ჰხედამ რა ქვეყანაა, ღიმნაზიაშიაც-კი ყალთაბანდობა ყოფილა: მე შვილი მივეცი, კაცი გამოვიდეს-მეთქი, იმათ „კრახმალიანი“ ვირი გამაიყვანეს და მამცეს, ჰა, წაიყვანე, ტოპრები აჰკიდე, წისქვილში გაჰგზავნეო. თვალებზედ დურბინდი აგიფარებია, ისე დადიხარ, ასე გონია, თავში ჭკვა არ გეტეოდესო, ორი გროშის მოგების შნო-კი არა გაქვს. კრო პაპაშენსა აქვს იმ საიქიოს შვიდი გირვანქა ცხონება, გვარის დამამშვენებელი გამოხვალ აი!.. არა, რო იბერები, რას იბერები?.. ვინა ხარდა!.. ჰო, განა არ ვიცი, პაპაშენს ავეტიქას იმდენი კნიაზობისა და ღრაფობის გუჯრები ეყარა, რომ სკივრებს წელი სწყდებოდა. ეს ამოდენა ზინათი რომ შემიძენია, ჰალაჰალათ მოსულა? პაპაშენი გოგჩის ტბასთან იდგა ერთ მიწაში ამოთხრილს სოროში, თორმეტის წლის ბიჭი შევსრულდი და არ ვიცოდი, თუ, პურის მეტი, ქვეყანაზედ კიდევ სხვა საჭმელი იყო რამე. გვერდზედ თევზით სავსე წყალი იყო, ჰამა სულით განათლებულმა დიდედაშენმა სირანუშამ ისე ჩააბარა პატრონს სული, რომ საიქიოს გელაქნურის გემო არ წაუღია. იქიდგან ფეხშველა მოვსულვარ, გავლეტილვარ, გავცვეთილვარ, აქეთ მივლია, იქით მივლია, სოვდა მიქნია.

წავიდოდი ხოლმე კახეთში, ცხრა შაურათ ჰირიანს თხას ვიყიდდი, თითო-თითო ფეშხოს კნიაზებს ფეშქაში უზამდი, იმათი ოჯახიდგან ერთი ასად ზინათი გამომქონდა. ყვარელში ერთ აზნაურს სამი თუმანი ვასესხე, პირობა ჩამოვართვი, თუმანზედ თითო საპალნე ღვინო უნდა მამცე-მეთქი და, თუ ღვინო არ მოგივიდეს, იმ ღვინის სათასური-მეთქი. უზურში საპალნე ღვინო ოც-და-ათი ჩაფია, ჩაფი—ოთხი თუნგი, საპალნე ას ოცს თუნგს იზამს რაღა. თუნგი კაპიკ ნახევრად მოდის. გაირა წელიწადი, ენახვი

რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, უყვიროდნენ: ნებას არ მოქცემთ, შეურაცყოფა მცგვაყენოთო.

რეიხსტაგის დარბაზში ისეთი ქრიამული და აყალ-მაყალი თურმე ასტყდა, რომ ძალლი პატრონს ვეღარ იცნობდა. თავმჯდომარე იძულებული შეიქმნა, დაეშალა კრება.

ასე იბრძვიან ჩეხიის ერის წარმომადგენელნი ავტონომიისათვის და, უეჭველია, ღელოსაც გაიტანენ.

ა. ფრონელი

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ.

12—19 ნოემბერს ქ. ლენქორანში ხოლერით ავადმყოფი იყო 4, გარდ. 2, დარჩა—2; მთელის მაზრაში ავადმყოფი იყო—10, მორჩა—1 დარჩა—9.

13—20 ნოემბერს ქუთაისის გუბერნიაში ხოლერით ავადმყოფი იყო —18 კაცი, კიდევ ავად გახდა—16, მორჩა 5, გარდ. 8, დარჩა ავადმყოფი 21.

## ახალი ამბავი

*** მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის მისაგებებლად ტფილისიდგან წავიდნენ: მთავარ-მართებლის კანცელიარიის საქმეთა მწარმოებელი ოსეცკი და ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კანტორის წევრი დეკანოზი ელიაშვილი. ეგზარხოსის მობრძანებას ტფილისში დღეს დილით მოელიან.

*** კავკავიდგან დეპეშით აუწყებენ „Т. Л.“-ს: 27 ნოემბერს, დილის 8 საათზე, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ეგზარხოსი ვლადიმირი კავკავიდგან ტფილისს წამობრძანდა. ერთს ღამეს მლეთში გაათევს და მეორე ღამეს მცხეთაში.

*** დეკემბრის 1-ს კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას კრება ექნება და ამ კრებაზედ წაიკითხვენ წერილს მკურნალ სახაროვისას, რომელიც სთხოვს სამკურნალო საზოგადოებას: წარმოსთქვით თქვენი აზრი შესახებ იმისა, თუ რამდენად სასარგებლოა ხოლერის გავრცელების წინაალმდეგ ამიერ კავკასიის რკინის გზით მოგზაურთა და ნივთების დეზინფექციაო კავკასიის სამკურნალო საზოგადოების აზრი ამ საგნის შესახებ ბ. სახაროვს იმიტომ უნდა შეიტყოს, რათა აუწყოს მომავალ მკურნალთა კრებას პეტერბურგში, 13 დეკემბერს, რომელსაც ექიმი სახაროვიც დაესწრება.

ამას გარდა 1 დეკემბერს კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას სჯა ექნება იმის შესახებაც, თუ როგორ იდღესასწაულონ 15 დეკემსერს პასტერის 70 წლის შესრულების დღე.

*** ტფილისის ოლქის სასამართლომ ვაჭარი მიხეილ რომანის ძე ამირაღოვი გაკოტრებულ ვაჭრად აღიარა.

*** ჩვენ მივიღეთ სოფ. ლამისყანის მღვდლის სიმონ ხახუტაშვილისაგან 3 მან. 86 თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ დასაკვეთად. ამ ფულისა იყო 151 მან., შესდგა 154 მანეთი.

*** 27 ნოემბერს გაემართა ტფილისიდგან ბაქოსკენ საქონლის მატარებელი. ალ-ტაგლის სადგურს მიუახლოვდა თუ არა, დაესხნენ თავს თათრები, შეიარაღებულნი კეტებით და დაუწყეს ცემა კონდუქტორებს. ერთს ობერ-კონდუქტორს, სკოპინს—თათრებმა თავი გაუხეთქეს, მეორეს ს. დალაქიშვილსაც ასეთივე საქმე დაჰმართეს. ალ-ტაგლას გაჩერდა მატარებელი, მაგრამ რა-კი კონდუქტორები ისე იყვნენ დაშავებულნი, რომ თავი აღარა ჰქონდათ გაჰყოლოდნენ მატარებელს დანიშნულს ადგილამდე, სადგურის უფროსმა ეს მატარებელი უკან, ტფილისისაკენ დააბრუნა. დაშავებულნი რკინისგზის სამკურნალოში მიიყვანეს. ავაზაკნი ვერ შეიპყრეს.

ამავე დღეს გორში საქონლის მატარებლის გაძარცვა მოინდომეს ავაზაკებმა, რომელთაც ოთხს ვაგონს შეაჭრეს ტყვიები და მერე გატეხაც უნდოდათ, მაგრამ კონდუქტორმა შენიშნა, შეჰქმნა ყვირილი და ავაზაკებმა იკადრეს გაქცევა. არ იქნება ურიგო, რომ საქონლის მატარებელთა კონდუქტორებს იარაღი ჰქონდეთ რკინის-გზის მთავრობის მიერ დარიგებული. ავაზაკობა გზაზედ ხშირია, მეტადრე თათრებისაგან და კონდუქტორებს ვერც თავიანთი თავი დაუფარავთ და ვერც რკინის გზის ქონება ბოროტ-გამზრახველთაგან.

*** სომეხთა ლიტერატორებმა ამას წინად შეადგინეს წესდება დასაარსებელ სალიტერატორო ფონდისა და შესასწორებლად გაუგზავნეს მოსკოვს სომეხთა მწერალს შახ-აზიზს. ამ დასაარსებელ ფონდის დანიშნულება არის სომეხთა გაჭირვებულ მწერლებისათვის შემწეობის აღმოჩენა. შახ-აზიზს ეს წესდება გაუსინჯავს, შეუსწორებია და გამოუგზავნია უკან. ამ საქმისათვის ამორჩეულ კომისიის თავმჯდომარეს, ბ. არასხანიაცს განუზრახავს ამ დღეებში კრება მოახდინოს სომეხთა მწერლებისა და წესდების განხილვის შემდეგ გაჰგზავნოს პეტერბურგს უმაღლეს მთავრობის მიერ დასამტკიცებლად.

*** ქუთაისი: აქაურ რკინის გზის სადგურის უფროსის განკარგულებით საღამოს 7—8 საათიდგან სადგურის კარები იკეტება და მატარებლით წამსვლელნი გარედ უნდა იყვნენ სიცივეში. საჭიროა ამ გარემოებას ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობამ ყურადღება მიაქციოს და მატარებლის წასვლამდე 1—2 საათის განმავლობაში მაინც ღია იყოს სადგურის კარები, რომ მატარებლით წამსვლელნი სიცივით არ იფიჩხებოდნენ.

*** „Н. О.“-ს სწერენ ჯვარიდგან (ზუგდიდის მაზრა): „თათაშ მარშანია თავის ამალით მიდიოდა სვანეთში, თავის სიმამრ დადიშკელიანთან. გზაზედ ერთ გლეხის სახლში ჩამოხდა, სადილი მიირთვა და შემდეგ განსვენებას მიეცა. ამ დროს ერთმა გლეხმა, გვარად პიპიამ იმ სახლის წინ, სადაც მარშანია განისვენებდა, ცხენი გააჭენ-გამოაჭენა და ბატონს ძილი დაუფთხო, მარშამიას ეს ძლიერ ეწყინა და უბრძანა მხლებელთ: ურცხვი გლეხი ლაზათიანად მიბერტყეთო. იმათაც ეს ბრძანება აასრულეს. ამის შემდეგ მარშანია სვანეთში დარჩა და მისი მხლებელნი უკან დაბრუნდნენ. გზაში რომ მიდიოდნენ, სოფ. ჯვარის ახლო უცებ ზედი-ზედ სამჯერ თოფის ხმა გაისმა ბუჩქებიდგან. ერთი კაცი იქვე მოიკლა და ორიც მძიმედ დაიჭრა. საქმის გამოსაძიებლად მოსულმა ბოქაულმა ბ. ქუთელიამ აღმოაჩინა, რომ ბოროტ ჩამდენი მარშანიას მხლებელთა მიერ გალახული, მაცი პიპია არისო.

*** იმავე გაზეთს სწერენ ახალსენაკიდამ: ამ დღეებში რკინის გზის სადგურთან ორმა კაცმა ერთმანეთსა სცემეს კეტით. ერთი მათგანი მოხელეა და მეორე მემამულე.

## მთავრობის განკარგულებანი

სამხატვრის საიდგან გამორიცხულ იქმნენ: პორუჩიკი თ. ერისთავი და მილიციის პორუჩიკები: თ. კასტანგ ჯორჯაძე და თ. ზურაბ მაჩაბელი.

## მცირე შენიშვნა

საყურადღებო საგნის შესახებ.

აგერ ორი თვეა, ტფილისში ბოჭკა ცემენტი, წონით ათი ფუთი, რომელიც დიდის ხნიდამ რვა მანეთად ფასობდა, დღეს თორმეტ მანეთად ფასობს. მყიდველი მაინც ჰყიდულობს და ერთი-კი არავინა ჰკითხულობს მიზეზს ცემენტის ასე გაძვირებისას.

ცემენტი დიდი ხანია ტფილისის ვაჭრებს და საქართველოს სხვა მოვაჭრეთაც მოჰქონდა უცხო ქვეყნის ქარხნებიდამ. როდესაც ფოთის ნავთსადგურის აშენება დაიწყო მთავრობამ 1867 წლიდამ, დაინახეს, რომ დიდის ფულის ცემენტი სჭირდებოდათ და შორიდამ მოტანა მისი საქმეს დიდს ზარალს მოუტანდა. და აი მცოდნე კაცთა წყალობით, ქუთაისის გუბერნიაში, ფოთის მახლობლად ს. თეკლათში იპოვნეს მთა, ცემენტის გასაკეთებლად გამოსადეგი და დაიწყეს იქვე მისი კეთება. თითქმის მთელი ნავთსადგური ფოთისა ამ ცემენტით აშენდა. ამას გარდა, თეკლათის ცემენტი სხვაგანაც ბევრი იყიდებოდა. შესწყდა ფოთში მუშაობა და თეკლათის ცემენტსაც თავი მიანებეს. ამ დროს სხვა ქვეყნის ხალხმა გააჰქიტა თვალები და მხნედ შეუდგნენ ცემენტის ქვის ძებნას. შავის ზღვის ნაპირას, პატარა ქალაქს ნოვოროსიისკში იპოვნა ცემენტი ერთმა როსტოველმა გლეხმა, ამ საქმეში ცოტაოდნად გამოცდილმა. ამ გლეხმა მაშინვე ადგილობრივ მთავრობისგან ხუთი ვერსის სივრცე გორაკა ადგილი შეიძინა 800 თუ 1000 მანეთად. როდესაც სრული საბუთები მიიღო ნასყიდობისა, მაშინ გაუჩნდნენ, თუ, არ ვიცი, თითონ მოსძებნა ნოვოროსიისკში ფრანგები, და ეს მცირე ფასად ნასყიდი ადგილი 25,000 მანეთად მიჰყიდა. ნოვოროსიისკის ქალაქის პატრონნი და მკვიდრნი ძლიერ შესწუხდნენ, რომ ამისთანა მამული უცოდინარობით ასე ოხრად დაჰკარგეს, მაგრამ რაღა შეეძლოთ, საქმე გათავებული იყო. იყიდეს ფრანგებმა ის გორაკა და ააშენეს დიდრონი ქარხნები ცემენტისა. მას უკან, აგერ რვა წელიწადია, მთელს საქართველოში და ახლო-მახლო რუსეთის ქალაქებში ამ ცემენტს ჰხმარობენ. ისე კარგად აკეთებენ იქ ცემენტს ფრანგები, როგორც უცხო ქვეყნებში კეთდება პირველის ხარისხის ცემენტი. ამ გარემოების გამო შორიდამ მოტანა ცემენტისა შესდგა. ეხლა რაღაცა მიზეზებით ნოვოროსიისკის ცემენტი აღარ მოდის ტფილისში. დაიწყეს ისევ მისი დაბარება საზღვარ-გარეთიდამ. გაკეთდა ბათუმში დიდი საწყობი ცემენტისა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს რომ 8 მანეთია ბოჭკა, ხვალ—10, ხან 12 და ხან კიდევ მეტია. უეჭველია, ეს სიძვირე ასე გასტანს. თუნდაც რომ ნოვოროსიისკში კვლავ დაიწყონ წარმოება ცემენტისა, მით მაინც 8 მანეთს არა დააკლდება-რა ერთ ბოჭკა ცემენტის ფასიდამ.

სავარაუდო-კი ის არის, რომ ცემენტი უბრალო მთის ქვაა, რომლითაც მთელი საქართველო სავსეა; ჩვენი ქვეყანა სავსეა ამ სიმდიდრით და აქამომდე-კი არავინ ჰფიქრობს ცემენტის ქარხნების გამართვასა.

არ მახსოვს, მგონი, ხუთის წლის წინად, ერთმა მემამულემ მოიტანა ცემენტის ქვა, მანგლისის მახლობლად ნაპოვნი; ქვა კარგად იყო გამოყვანილი და შემუშავებული; მემამულე თხოულობდა ღონისძიებას ცემენტის კეთებისა და წარმოებისათვის. ჩვენის ქალაქის ბედნიერები ხომ კრუხივით ასხედან ფულებს და ასე ჰგონიათ, მარტო წვრიმალი ვაჭრობა არის ჩვენი საქმეო. ერთი კაცმა ჰკითხოს, რომელი ვაჭრობა სჯობს ამ საქმეს? ტფილისიდამ 40 ვერსის სიშორეზედ შეიძლება ქარხნების გამართვა ცემენტის გასაკეთებლად. ამითი დიდს ხეირს და შეღავათს მისცემენ ხალხს ცემენტის იეფად გაყიდვა...

დაესეტყვა, ღვინო ცოტა მოვიდა, სამის მაგიერ, ერთი საპალნეც ძლივს მამცა. ის ერთი საპალნე იქვე ხელათ ექვს თუმნად გავყიდე, ჩემი თავნი ერთი ორად ავიღე რაღა. ახლა ვებნები: ვახტანგჯან, პირობა ხომ ისე გვქონდა, რომ, თუ ღვინოს არ მამცემდი, იმისი საფასური უნდა მოგეცა. ხომ ჰნახე, რაც ჰფასობს-მეთქი. თუ ერთი საპალნე ექვს თუმნად გავყიდე, ანგარიშით შენზედ დარჩენილი ჩემი ორი საპალნე თორმეტ თუმნადა ჰღირს. ჰამა შენც ცოდვა ხარ, შენი წყენა არ მინდა, ერთად პურ-მარილი გვიჭამია, იმ თორმეტ თუმანში ექვსს გაპატიებ, დანარჩენ ექვსისა ექვსი საპალნე ღვინო დამიწერე წლის თავისათვის, უწინდელს ანგარიშზედ რაღა, საპალნე ხომ თუმნათა მქონდა დაგირავებული-მეთქი. დამყაბულდა, მადლობაც მითხრა: სამი ცხვარი და ერთი ტიკი ღვინო მითავაზა. ამასობაში შვილი მიეცა, მოუნათლე, იმის ოჯახში მირონი შემიტანია. შარშან დასეტყვილი ვენახი იმ წელიწადს დაენაცრა და სამი საპალნეს მეტი ვერ მამცა. მერე რა ღვინო იყო-და!... დაილოცა იმის ვაზის ძირი! „ქუდების გასაგზავნად“ *) რომ მივედით, თორემ სარქველი დაჰხედავდა და აპკი მოეკიდებოდა, ისეთი ღვინო დაგვახვედრა იმ მამა-კურთხეულმა ქვევრმა, როგორც შააავი კუპრი, ერთი სტაქანისპილოს წამოაქცევდა, ისეთი ძალა და მადლი ჰქონდა. ზედაშე იყო რაღა სწორედ! ის სამი საპალნე იქვე თხუთმეტ თუმნათ გავყიდე, დანარჩენი სამი საპალნის საფასურისა—თხუთმეტი თუმნისა ხუთი თუმანი ვაპატიე,—რას იზამ, ნათელ-მირონი იყო, უამისოდაც არ იქნებოდა!—ათი თუმნისა-კი ათი საპალნე ღვინო დაუწერე მეორე მოსავლისათვის. ამ ოინებით იმ ჩემმა სამმა თუმანმა ოც-და-ათი წელიწადი იმუშავა და ბოლოს ისე გაუჭირა ვახტანგს საქმე, რომ იმისი მამულიც მე დამრჩა **).

ბოდბისხევში კიდევ ერთს თავადიშვილს საქორწილოდ ათი თუმანი ვასესხე, თუმანი ხუთ შაურათ თთვეში, წელიწადში სამ თუმნათ რაღა. სამი თუმანი სარგებელი გამოვედი, შვიდი ნაღდათ მივეცი, ქორწილშიაც ვიქეიფე. წლის თავზედ, ვადაზედ, ათი თუმანი უნდა მოეცა და, თუ ვერ მომცემდა, ოცი საპალნე ღვინო „შტრაფი“ დაუწერე. წლის თავზედ ჩემს კნიაზს ღვინო ბლომად მოუვიდა, ქვევრებში არ ეტეოდა, ჰამა მუშტარი არ იყო, რომ გაეყიდნა და ჩემი ვალი პირ-ნათლად ჩაებარებინა. ვადას გადააცილა. რა ჩარა ჰქონდა, „შტრაფისა“ ოცი საპალნე ღვინო მამცა, ათი თუმანი ისევ ვალად დაიწერა ერთი წლით. ის ოცი საპალნე ღვინო აღაგზნრივვე სამოც თუმნად გავყიდე და იმის მყიდველს სირაჯს ერთი ჩაფიც ოჯახისათვის ფეშქაშად ავაფცქვენი. მაშ!.. ვინ მოსთვლის, რამდენი ამისთანა რამ მიქნია!.. მთელი კახეთი დუმა იყო, ვისაც უნარი ჰქონდა, სთლიდა და სჭამდა.

ეხლა?.. ეხლა სულ სხვა დროა, ხალხი გაირყვნა, გალუპუსტაცდა. იმ დღეს კინაღამ გალავინსკი პროსპექტზედ გული არ წამივიდა ელდისაგან. ვა, ხუმრობა საქმეა!.. ორიოდე გროში ხეირი ისევ იმ დალოცვილ კახეთიდგანა მაქვს. კირაკოზა შემხვდა დაღონებული, ის იყო ქართული „დროება“ წაეკითხა. შიგ ეწერა თუ, კახეთში „ჟელეზნი“ გზა უნდა გაიყვანონ და იქაური კნიაზები „საბრახიასა“ შვრებიან, უნდათ მთელი სირაჯხანა ქირით აიღონ, თავისი ღვინო ჩამაიტანონ და გაჰყიდონო. ისეთი გავხდი, კინაღამ ელეთმელეთ იქავ დამბლა არ მამივიდა.

უზურში, როგორც ვხედავ, ქვეყანა ბრუნდება: პოლოსას ძვილი დაუშტვინე გამოსვლია, ტუტუც კნიაზებს-კი თავში ჭკუა ძოუკრეფიათ. შენი დარდი კიდევ ისე არა მკლავს, მადლობა ღმერთს, იძდენი ზინათი შემიძენია, ძშიერი არ დარჩები, ჰამა გული ქვეყნისათვისა მტკივა: აძოდენა ვაჭარი ხალხი მშიერი დაიხოცება... რა უნდა ჰქნან და? წყალი მოვარდება და ყველას წაიღებს. არა, ძალიან ნავსი წელიწადი დადგა, ძალიან. ჯერ იყო-და ეს ვანქის ხიდის „ნესჩასტია“, მერე ხორველის ანგელოზები დაგვესივნენ, ახლა კიდევ ეს ზახრუმალი „ჟელეზნი“ გზა და კნიაზების „საბრახია“ გამოტყვრა. ტერ-ასტუაწ, შენი მადლი იყოს ჩვენს თავზედ!..

ორ-ანი

*) კიზიყს ღვინო რომ დაიდუღებს ქვევრში და ჭაჭა პირზედ მოექცევა, სარცხით მოურევენ ხოლმე, ჭაჭა ძირს წავა და ღვინო იწმინდება. ამას ეძახიან: „ქუდები გავუგზავნოთო“.

**) ეს ამბავი ნამდვილია და მოგონილი არავის ეგონოს. ავტ.

ღვით და თითონაც არას იზარალებენ. ვთხოვთ მამულის პატრონთ, რომელთაც აქვთ ცემენტის ქვა, გამოჰგზავნონ საჩქაროდ, გასასინჯადა და გამოსაკვლევად. საჭიროა ვეცადოთ, შესდგეს ამხანაგობა მცოდნე კაცთა მოთავეობით, დაარსდეს ქარხნებიც ერთი ღონით და მით სარგებლობა მივცეთ ქვეყანას: მამულის პატრონებსაც, მსყიდველებსაცა და ამხანაგობაში მონაწილეთაც. არავის ეგონოს, რომ ეს საქმე მცირე და უმნიშვნელო საქმე იყოს. აქ ათასობით საქმე-კი არ არის, თუ კარგად მოვაწყეთ ცემენტის წარმოება მილიონობით დატრიალდება ფული. ამაგი და ხარჯი-კი იმდენი არ უნდა საქმეს, მხოლოდ გაბედვა და ცდაა საჭირო.

ალ. თუთაევი

## იაფ-ფასიანის წიგნების გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბევრჯელ ყოფილა თქვენს გაზეთში ჩივილი, რომ ქართლ-კახეთში არ არის გავრცელებული წერა-კითხვაო. ეს მართალია, მაგრამ მე კიდევ ვიტყვი, რომ კითხვის მსურველი კიდევ უფრო ცოტაა, ვიდრე წერა-კითხვის მცოდნე. ამის მიზეზად მე მიმაჩნია უქონლობა იმ გვარ იაფ-ფასიანი წიგნებისა, რომლის შინაარსი ხალხს მოსწონს, უყვარს და რომლის სურვილმაც უნდა აალებინოს ხელში წიგნი ან-ბანის მცოდნეს. ერთის სიტყვით, ჩვენ ჯერ უნდა გაუღვიძოთ ხალხს კითხვის სურვილი, და მერე თითონ შაგვეხვეწება მასწავლეთ წერა-კითხვაო... რა ნაირად გაუღვიძოთ მერე ეს სურვილი?

აქ ნება მომეცით პატარა ამბავი მოგახსენოთ: ამ ზაფხულს თუშეთში ვიყავი. ერთს კვირა დღეს ს. ა—ში მოვეტანე. მღვდელმა წირვა გამოიყვანა; ხალხი გამოვიდა ეკკლესიიდან და „ყაყანებდა“. ზოგი ერთი ამ სოფლელებს კვლავაც წაუკითხავდა ხოლმე იმათთვის გასაგებს და საინტერესო ამბებს „ივერიიდან“ და წიგნებიდან. ეს თავ-მოყრილი ხალხი რომ ვნახე, ვთქვი, მოდი ვისარგებლებ ამ შემთხვევით და წაუკითხამ რასმეს-მეთქი. მართლაც წაველი, ოთახიდან გამოვიტანე ი. ჭავჭავაძის თხზულ. I ტ. რა წამს დამინახეს წიგნით ხელში, შემომეხვივნენ გარეშემო. მე ჩამოვჯექ ქვაზედ და დავიწყე „დიმიტრი თავდადებულის“ კითხვა, როცა წავიკითხე: „საყდრის წინ ჯგუფად ხალხი იდგა და ყაყანებდა“. ერთმა წამოიძახა, როგორც ჩვენაო და ჩაჩუმდა. ისე გავათავე კითხვა, რომ სიჩუმე არავის დაურღვევია, ასე გონია, ეშინოდათ, თავი არ დაგვანებოს და არ დავიღუპნეთო; მხოლოდ ხანდისხან მოწონების ნიშნად წამოიძახებდა ვინმე: „აი ბიჭი ისა ყოფილა“ და სხ. და სხ. გათავდა კითხვა. აი, დაილოცა მაგისი დამწერის ენა-პირი სთქვა რამდენმამე თუშმა. ჩვენ ერთითვე რომ გველაპარაკა, მაგისთანას ვერას ვიტყოდითო; ერთს თვეს-კი არა, ერთს წელიწადს ვერ ვიტყოდითო, დაუმატა მეორემ... შემდეგ ამისა გაძლიერდა ლაპარაკი: ზოგი იგონებდა წინანდელს ვაჟკაცობას. ზოგმა გვიამბო მეფე ერეკლეს გმირობა და საქართველოს სხვა მეფეებისა, რომლებიც იმათ გაეგონათ და სხ...

მერე წაუკითხე „რამდენიმე სურათი“, რომელიც არა ნაკლებ მოეწონათ. შემდეგ ამისა რამდენმამე მთხოვა, თუ გაქვს მაგისთანა წიგნები, მოგვყიდეო, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, უქონლობისა გამო, ვერ შევიძელი იმათი სურვილის ასრულება.

იქნება მკითხველმა იფიქროს, როგორც მე ვფიქრობდი: ასეთის სიამოვნებით მოსმენა ნაკითხისა და მოწონება არაფრის დამამტკიცებელიაო. სტუმარი-კაცი უკითხავს წიგნს, ყურს დაუგდებდნენ მაშ რას იზამდნენო... მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ჩემი ეჭვი ტყუილი იყო.

ამ კითხვის შემდეგ ერთს თუშთან ვიყავი სადილად, სხვა სოფელში. სადილზედ მალე გაიმართა სიმღერა. მშვენივრად უკრავდა ფანდურს და დასძახოდა ერთი ბრმა მეფანდურე. მაგრამ ბრმას მალე გააწყვეტინეს სიმღერა და სთხოვეს იქვე მყოფს მემცხვარეს—ივანე ბილოიძეს, რომ „დიმიტრის“ ლექსი დაემღერა ფანდურზედ. ივანე ჯერ უარზედ იყო, მერე-კი ჩამოართვა ფანდური და დასძახა:

ყური მიგდეთ, ამბავს გეტყვით
უტყუარსა და მართალსა.
ერთი „ნეფე“ თურმე ჰყავდა
უწინ ჩვენ მამა-პაპასა.
სახელათ ერქვა დიმიტრი,
მხარ პრტყელი, ტანად მაღალი,
ჯირითში თუ შვილდ ისარში
ბიჭი არ ჰყვანდა ბადალი და სხ. და სხ...

ამ ნაირად თავისებურად გადასხვაფერებული პოემა ნახევარზედ მეტი გვითხრა... ამ ლექსმა აღტაცებაში მოიყვანა იქ მყოფნი ყველა. მე გამიკვირდა ეს ამბავი და მაშინათვე ვკითხე: სად ისწავლე-მეთქი. მან მითხრა: ერთი პატარა წიგნი ჰქონდა ჩემს ამხანაგს; იმაში ვისწავლეო და თანაც სინანულით დაუმატა: ის წიგნი დაგვეხივა და ბოლომდის ვერ ვისწავლეო. ნეტავი ერთი ის წიგნი მაშოვნინა და თუნდა ერთს მანათს მივცემო და სხ... რაც „დიმიტრის“ შესახება ვთქვი, იგივე შემიძლიან ვთქვა სხვა სოზიერთა ჩვენი პოეტების ნაწარმოების შესახებაც. ყველა ზემო აღნიშნულით მე მინდა ვსთქვა შემდეგი: თუ გვინდა, რომ ხალხში გავრცელდეს ქართული წიგნები, უნდა მივაწოდოთ იაფ-ფასად ის ნაწარმოები, რაც მას მოსწონს, ანუ მოეწონება. ამისთანათ მიმაჩნია, როგორც გამოცდილებამ დამიმტკიცა, ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწერები. თორემ, ნათარგმნებით და აბდა-უბდა ნაწერებით, სრულებით დაუკარგავთ სამუდამოდ კითხვის სურვილს...

ი. გ—რი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „Н. О.“-ში დაბეჭდილია წერილი ალ. გარსევანიშვილისა. ეს წერილი შეეხება ფრანგების ერთს ექსპედიციას, რომელიც მოვიდა საქართველოს 1384 წლის თებერვალში ჩვენის ქვეყნის დასათვალიერებლად. ამ ექსპედიციაში იყვნენ საფრანგეთის არმიის აფიცრები: მარკიზ-დე ლორამანი, ბარონ დე-ბორტი და შევალიე დე-ბულანი. ამ მოგზაურებმა მიჰმართეს რუსეთის მთავრობას და სთხოვეს, საქართველოს დათვალიერების ნება გვიბოძეთო. მთავრობამ ნება დართო და თავ. პოტემკინმა კავკასიაში მიიწერა: „ნება მიეცით ამ აფიცრებს საქართველო დაათვალიერონ, მხოლოდ თვალ-ყური-კი ადევნეთ, რომ ამათი ცნობის მოყვარეობა არც თუ ძლიერ დიდი იყოსო“. გაზაფხულში მოგზაურ ფრანგებს უნდოდათ კავკასიის მთები დაეთვალიერებინათ, სწორედ ის ადგილები, სადაც ეხლა კავკავის სამხედრო გზაა გაყვანილი, მაგრამ ეს განზრახვა ვერ აისრულეს, რადგანაც თ. პოტემკინმა ამის ნება არ დართო. მაშინ ფრანგებმა ასეთი ხერხი მოიგონეს: ერთი მათგანი ღამ-ღამე იმ ადგილების რუკას ადგენდა, რომელზედაც დღისით გამოვლილნი იყვნენ, და დანარჩენი ორი-კი დღიურებსა სწერდნენ, რომელშიაც მოჰყავდათ იმ ადგილების აღწერა, სადაც გამოევლოთ და თავიანთი შთაბეჭდილება. ამ ფრანგებს მოგზაურობის დროს ძლიერა ჰშველოდათ ერთი გერმანელი, იაკობ რეინაგი. რეინეგს კარგადა ჰქონდა შესწავლილი კავკასია და, როგორც ამბობენ, მთელი საქართველო შვიდჯერ შემოიარნა. რომ ხალხთან უფრო დაახლოვებულიყო და უველაფერი კარგად გაეგო, რეინაგსმა რამდენჯერმე სჯული გამოიცვალა თურმე.

საფრანგეთის აფიცრებმა ამ რეინაგსის შემწეობით დაათვალიერეს კავკასია, როგორც-კი შეძლოთ და შემდეგ წერილები დაჰბეჭდეს კავკასიის შესახებ. ამ წერილებში მოყვანილია ფრანგ აფიცრების აზრი შესახებ კავკასიის სხვა-და-სხვა ტომთა: თათრებისა, აფხაზთა, ჩერქეზთა, ქისტთა, ლეკთა და სხვების შესახებ. აი სხვათა შორის რა სწერია სვანებზე:

სვანები კავკასიის უმაღლესს მთებში სცხოვრობენ. სვანები პატარა საკუთარ სამეფოს შეადგენდნენ, რომლისაც მეზობლებს ძლიერ ეშინოდათ. ჰყავდათ საკუთარი მეფე და სახელმწიფო საქმეთ სვანეთის საზოგადოებათა 300 წარმომადგენელი განაგებდა. ამ ჟამად სვანეთი იმერეთის მეფეს ემორჩილება. სვანები დამახინჯებულ ქართულს ენაზედ ლაპარაკობენ.

შემდეგ აწერილია საქართველოს მშვენიერი ბუნება და სიმდიდრე.

მთელი ეს ქვეყანაო, სწერენ ფრანგნი მოგზაურნი, ისე მშვენიერია, რომ სწორედ ედემის სამოთხე გეგონებათ. ბამბის ბუჩქები მოუვლელად ჰხარობს. პატარა მდინარეთა ხეობებში ჩინებული საძოვარი ადგილებია. ამ მდინარეებში აუარებელი თევზი იცის. ჰავა საქართველოსი ჩინებულია; ერთის სიტყვით, ბუნებას ყოველის მხრივ უხვად დაუსაჩუქრებია ეს ქვეყანა. გეგონებათ ამიტომ, რომ ამ მშვენიერ მხარეს მცხოვრებნი ძლიერ მდიდარნი უნდა იყვნენ. მაგრამ პირ იქით ქართველები ძლიერ ღარიბნი არიან. ამის მიზეზი შემდეგია: 1) ვაჭრობის დაქვეითება. საქართველოში სანაოსნო მდინარეები არ არის, რომ ამ მდინარეებით საქონელი წაიღონ უცხო ქვეყნებში. ხმელეთითაც საქონლის გადატანა ძლიერ ძნელია, რადგანაც მთების გამო რიგიანი გზები არ არის და ამ მთების ტყეები სავსეა ფირალებით, რომელნიც ძლიერ აფერხებენ ვაჭრობას. 2) მეორე მიზეზი საქართველოს დაქვეითებისა ის არის, რომ პოლიტიკური თავისუფლება არა ჰქონდათ და ხან სპარსეთსა ჰყავდა დამონებული, ხან ოსმალეთსა. 3) მესამე მიზეზიც ბატონ-ყმობაა. საქართველოს მძლავრი ფეოდალები ერთმანეთს ებრძოდნენ და ამით ისრეც გაღარიბებულს ქვეყანას უფრო აღარიბებდნენ.

დასასრულ ფრანგ აფიცრების წერილებში მოყვანილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი მეფე ერეკლეს დროს.

საქართველოს სახელმწიფოს შემოსავალი ამ ჟამად 26,250 გირვანქა სტერლინგს არ აღემატება (ე. ი. 150,000 მანეთი) და შესდგება: სადამოენო გარდასახადისა, ფულის მოჭრის იჯარით გაცემისა და ერევნისა და განჯის ხანების გარდასახადიდგან.

როგორც ჰხედავთ, სახელმწიფო შემოსავალი საქართველოსი მეფე ერეკლეს დროს ძლიერ მცირე ყოფილა, მაგრამ ბ-ნ ა. გარსევანიშვილის სიტყვით ეს რიცხვი ძლიერ ნაკლები უნდა იყოს ნამდვილ შემოსავალზედ.

## რუსეთი

«Рус. Вѣд.» ამბობს: თუმცა აქამდე ფინანსთა სამინისტრომ თავი დაანებაო, როგორც ხმები იყო, იმ აზრს, რომ გარდასახადი დანიშნონ იმ ახალგაზდა კაცებზედ, რომელნიც კანონის ძალით მაინც თავისუფლდებიან სამხედრო ბეგრისაგან,—მაგრამ, გაზეთ „Гражданинъ“-ის სიტყვით, პროექტი ამის შესახებ უკვე შედგენილია და ამ დღეებში სახელმწიფო საბჭოს წარუდგენენ. ამ გვარად ზემოთ-აღნიშნულ პროექტს განხორციელება და სამოქალაქო უფლება არსებობისა მიეცემაო.

— 13 ნოემბერს მოსკოვში მეორედ გაიმართა კრება საჰიგიენო საზოგადოებისა პროფესორის ბ. ერისმანის თავმჯდომარეობით. ამ კრებაზედ დიდად საინტერესო რეფერატები წაუკითხავთ ბ-ნ ნ. გ. ცაბელსა და მ. ა. პოკროვსკის. თავის რეფერატში — „Физическія упражненія, какъ необходимый элементъ воспитанія юношества и оздоровленія взрослыхъ“ — ცაბელი აღნიშნავს-რა მჭიდრო კავშირს ფიზიკურსა და გონებრივ აღზრდა-განვითარებისას, ამბობს, რომ სკოლაში მოსწავლეთა გონებრივ განვითარებასთან ერთად უეჭველად შემოღებულ უნდა იქმნას გიმნასტიკა და სხვა ვარჯიშობა, თუ გნებავთ, რომ ყმაწვილი ჯან-მრთელი იყოსო. დანიშნულება ფიზიკურ ვარჯიშობისა—გიმნასტიკისა და სათამაშოებისა ის არის, რომ ყმაწვილი ჯან-მრთელი იყოსო. ბ-ნ ცაბელის აზრით, სკოლაში გიმნასტიკასთან ერთად დიდად საჭიროა სხვა თამაშობანიც.

ბ-ნი პოკროვსკი არ ეთანხმება ცაბელს და ამტკიცებს, გიმნასტიკა საჭირო არ არისო და ყმაწვილის ჯან-მრთელობისათვის სრულიად საკმარისია მხოლოდ სხვა-და-სხვა თამაშობაო. რეფერენტი უარ-ჰყოფს ყოველნაირ გიმნასტიკას და უფრო „შვედურ“ და „გერმანულ“ გიმნასტიკას და მავნებლადაც-კი მიაჩნია, რადგან ვარჯიშობა ნაძალადევია და ყმაწვილებს სრულიად არ ეხალისებათო. ამიტომ პოკროვსკის აზრით, სკოლაში შემოღებულ უნდა იქმნას მხოლოდ სხვა-და-სხვა თამაშობა ეზოში და გიმნასტიკა სრულიად გაუქმდეს. ამ საქმის განსახილველად საჰიგიენო საზოგადოებამ კომისია ამოარჩია და მიანდო გამოიკვლიოს, საჭიროა თუ არა სკოლებში გიმნასტიკა დარჩეს.

— 1883—1887 წლებში, მთელ ხუთის წლის განმავლობაში, რუსეთის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებ-ნაჭირნახულევის მაზანდა ისე დაეცა, რომ 1888 წელს ამ საქმეს უმაღლესმა მთავრობამ ყურადღება მიაქცია და დანიშნა კომისია შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით. კომისიას მიენდო გამოიძიოს სოფლის მეურნეობა—მრეწველობის დაქვეითების მიზეზი. ამ კომისიას სრული ოთხი წლის განმავლობაში უმუშავნია და ახლა წარუდგენია ამ საქმის შესახებ მოხსენება და ამასთანავე პროექტიც შესახებ იმისა, რომ დიდად საჭიროა რუსეთის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებისათვის სამეურნეო სამინისტრო დაარსდესო. რუსეთის ყველა გაზეთები, ვანურჩევლად მიმართულებისა, დიდის სიხარულით მიეგებნენ ასეთს ჩინებულს პროექტს შინაგან მინისტრის ამხანაგისას და ამბობენ, იმედი გვაქვს, რომ ფონ-პლევეს პროექტი არ დარჩება „ხმად-მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“-ო და ეს პროექტი განხორციელდება, რადგანაც დიდი ხანია საჭიროა რუსეთში სამეურნეო სამინისტრო დაარსდესო.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ერთის დეპუტატის სიტყვით, პანამის საზოგადოებისაგან 150 კაცი, (ამათში უმეტესი ნაწილი დეპუტატები არიანო) აუღია ქრთამი და საქმის გამოძიება-კი თვით პალატამ იკისრაო. რასაკვირველია, ხალხი ეჭვის თვალით შეჰხედავდა ასეთს საქმეს, შესაძლოა, პალატამ თავისი წევრნი არ გაამტყუნოს, არ დასაჯოსო. ამის გამო ხმა გავარდა— საქმეს ჰფარავენ, ჰმალავენ, ერთმანეთს ექომაგებიან და ღირსეულად, კანონის სისასტიკისამებრ დასასჯელი არავინ აღმოჩნდებაო. ამ ხმების მოსასპობლად, ამბობენ, კარნოს უნდა პალატას წერილით მიჰმართოს. ამ წერილში ის აზრი იქნება დამტკიცებული, რომ პალატას ამ საქმით ჩირქი ვერ მიეცხობა, რომ დეპუტატების დაქრთამით მოსყიდვა არც როდისმე ყოფილა და არც იქნება საფრანგეთში, რომ ერთი სინიდისზედ ხელ აღებული კიდეც რომ გამოჩნდეს ვინმე, მის საქციელს მთელ პალატას ვერ მიაწერთო. დასასრულ კარნო ჰპირდება ერს, რომ მთავრობა დამნაშავეთ სრულის სისასტიკით მოექცევაო.

**შეერთებული შტატები.** ამერიკელები-კი პანამის საზოგადოების გაკოტრების გამო სოვდის მიწევას აპირობენ. შტატების თავმჯდომარე აპირობს კონგრესს წინადადება წარუდგინოს, დავეპატრონოთ ამ უპატრონო საქმეს, ბოლო მივადევნოთ, არხი გავიყვანოთ, და სარგებლობაც ჩვენი იყოს და თვით არხიცაო. ამ გვარად ევროპიელთაგან დაწყებული საქმე, რომელიც, რომ გათავებულიყო, დიდს სარგებლობას მოუტანდა ვაჭრობას ორის ოკეანეს შეერთებით და უფრო დიდს სარგებელს ამ საქმეზედ დახარჯულს ფულს ახლა, თუ კონგრესმა ზემოხსენებული წინადადება შეიწყნარა, მხოლოდ ამერიკელთა საკუთრებად დარჩება პანამის საქმე, და თუ არხი გაიყვანეს, მერე თითონ იციან, როგორ ამერიკულ ფასებს დაადებენ იქ მოსიარულე ხომალდებს. მომავალ გაზაფხულზედ ერთობ

ყველგან ეშინიანთ, ხოლერა არ მოგვედოსო და ამერიკელებსაც ნაკლებად არ ეშინიანთ. ამათი სიფრთხილე იქამდის მიდის, რომ კანონით უნდა აუკრძალონ—ერთის წლის განმავლობაში ევროპიდგან ალარავინ გადმოსახლდეს და ჭირი არ შემოიტანოსო. ამბობენ, აქ ხოლერა მხოლოდ ტყუილი მიზეზია და ამერიკელებს განზრახვა აქვთ, ევროპიდგან, რაც შეიძლება ნაკლებად შეუშვან იქ დასასახლებლად მისული ხალხი; ხოლო ვინც შეიწყნარონ, ისინიც დიდის გარჩევით და სიფრთხილით შეივრდომონო. ამერიკამ რომ კარი დაუკეტოს, თუნდა ისევე მოექცეს, როგორც ამ ჟამად ჩინელებს ექცევა, ევროპას მხოლოდ აფრიკა-ღა ექნება, რომ იქით გაგზავნოს ნამეტანობა თავის ხალხისა და მაშინ... ვაი აფრიკელების ბრალი! მათი ბედი ის იქნება, რომ ევროპიელნი ამოსწყვეტავენ იმ საცოდავთ.

**ავსტრი-ვენგრია.** მადიარების სურვილმა, რომ კანონით შეწყნარებულ იქმნას ჯვრისწერა უეკლესიოდ და ჯვრისწერა ქრისტიანთა და ებრაელთა შორის, დიდად შეაძრწუნა კათოლიკენი; პაპი პირდაპირ წყევლა-კრულვას უთვლის ამ სარჩიელის ავტორს. თვით ვენგრიული კათოლიკური გაზეთები ამბობენ, რომ მაგ სარჩიელის შეწყნარება სარწმუნოების შეურაცხყოფა იქნება და, მაშასადამე, ნიშანიც ქვეყნის წარღვნისაო. ამ უბედურების ასაცდენად არისტოკრატების ოჯახებს და მეტადრე მათ ქალებს მიჰმართეს, სარწმუნოებას შეეწიეთ, იღუპებაო! ერთმანერთი უყვარდეთ, თორემ ქრისტიანი და ებრაელი იქნებიან ცოლქმარი, თუ ორივ ქრისტიანებიო, სულ ერთია, მაინც ბედნიერნი იქნებიანო, ამტკიცებენ ზემოხსენებულ სარჩიელის მომხრენი. არა მარტო მღვდელს, არამედ საერო კანონსაც შეუძლიან მექორწინენი შეაერთოსო! კათოლიკენი ბაინც თავისას გაიძახიან და თავის აზრის გასამარჯვებლად არისტოკრატიას იმხრობენ, რადგან, იმათის აზრით, ჭკუა და ცოდნა მხოლოდ არისტოკრატში მოიპოვება: საწყალ კაცს რომ ჭკუა ჰქონდეს, ხომ ისიც დიდ კაცობას იშოვისო, ამბობენ კათოლიკენი; ქალების მომხრეობა კიდევ იმიტომ გვინდა, რომ... „რასაც ქალი მოინდომებს, ღმერთსაც ის იამებაო, ასე ამბობს ჩვენი კათოლიკური ანდაზაო.

## გასართობი

### გამოცანები მოზრდილთათვის

უკანასკნელს კრებებს ტფილისის ქალაქის საბჭოსას ყოველთვის მხოლოდ $2^1/_2$ ხმოსანი ესწრება. გამოიცანით: რამდენი ხმოსანი დაესწრება კრებებს ამავე საბჭოსას, როცა ქალაქის გამგეობის სხვა-და-სხვა თანამდებობაზედ არჩევანებისა და მსუქან ადგილების ხელში ჩაგდების დრო დადგება?

—

თვით-მმართველობას კურთხეულ ქალაქ გორისას გადუწყვეტია: ჩვენს ქალაქში ურმით შემოტანილ საქონელს თითო ურემზედ 10 კაპეიკი გარდასახადი დავადოთო. გამოიანგარიშეთ: რამდენი შემოსავალი ექნება ქ. გორს ყოველ წლივ, ვინიცობაა კავკასიის ყველა მრეწველთა და ვაჭართ ეს განკარგულება ძლიერ მოეწონათ და ვისაც რა საქონელიც-კი აქვს, ამას იქით სულ გორში გაჰგზავნეს?

—

პეტერბურგის ერთს სტუდენტს მხოლოდ ეხლა შეუტყვია, საქართველოში წელს ხოლერა გაჩნდა და მოისპო კიდეცაო. გამოიცანით: როდის შეიტყობდა ეს ყმაწვილი ჩვენს ქვეყანაში ხოლერის გაჩენის ამბავს, ვინიცობაა პეტერბურგში-კი არა, მარსის პლანეტაზედ ყოფილიყო, სადაც, როგორც ნამდვილად ვიცით, არც „ივერია“ იგზავნება და არც სხვა რამ გაზეთი?

—

ერთს ვაჟბატონს 2 საათზედ ბაკლა უჭამია სადილად, 5 საათზედ დაუძინია, ძილში „კონვერსიების“ საქმე ზედ მიწევნით შეუსწავლია, ნახევარ საათის შემდეგ გამოჰღვიძებია და მოკლე ფრთიანი „გასაფრენი შენიშვნები“ დაუწერია. გამოიცანით: რომელ სამეცნიერო საგანს შეისწავლის სიზმარში ეს ვაჟბატონი, სადილად რომ ბაკლას მაგიერ დანივრული არტალა მიირთვას და რიგიანადაც გამოიძინოს?

## წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით 7 მანათს, ჩემ მიერ შეკრებილს ტფილისში ხელოსანთა შორის ქიზიყში ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. შემოსწირეს:

ვლადიმირ მაჭავარიანმა 1 მ., ვანო დოლმაზაშვილმა 40 კ., გიგო ქსებუამ 20 კ., გიგო ყარყარაშვილმა 30 კ., აბრამ ცქიმანაურმა 30 კ., ეფრემ მაისურაძემ 30 კ., მიხაკ ქსენცაანცმა 20 კ., იოსებ ერტერიშვილმა 20 კ., მანუკ ამირხანიანცმა 20 კ., პავლე ასათიანმა 50 კ., სიკო ნაზიჭრიშვილმა 50 კ., ქგნატე მინდიაშვილმა 35 კ., მიხა გველესიანმა 40 კ., გიგო კუდაშვილმა 40 კ., იხა ტარიელაშვილმა 40 კ., მიხეილ ბოჭორიძემ 50 კ., ილიკო შანშიაშვილმა 60 კ., ირადიონ მაჭავარიანმა 25 კ. სულ შესდგა 7 მანეთი *).

ვლ. მაჭავარიანი

## დეპეშა

27 ნოემბერი

**პეტერბურგი.** „სავაჭრო-სამრეწველო გაზეთი იუწყება, რომ ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს, სხვა-და-სხვა წამლებისთვის სადამოჟნო გარდასახადი შესცვალოს.

საზღვარ-გარეთის გაზეთებში დაბეჭდილია: ის ამბავი, ვითომ რუსეთს განზრახვა აქვს რუსეთიდგან უცხო ქვეყნებში გასატან ხორბალს ბაჟი დაადოს, — სრულიად ტყუილია.

**პარიჟი.** გამოცხადებულია, რომ ახალი კაბინეტი უწინდელ პოლიტიკას დაადგება. მთავრობას გარდაწყვეტილი აქვს შემწეობა აღმოუჩინოს პარლამენტსა და სამოსამართლო უწყებას ახლანდელ საქმეების გამოკვლევაში და ჰსურს, რომ კანონმდებლობის უფლება განსაზღვრულ იყოს სამოსამართლო უფლებისაგან. სამინისტრო სთხოვს პალატას ღირსეულად იშრომოს ახლანდელ საქმეებში და აღნიშნავს, თუ რა ძნელია ადამიანი ენდოს ყოველ გვარ დაბეზღებას, რომელსაც საგნადა აქვს საზოგადოება განსაცდელში ჩააგდოს. პალატამ 306 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 104-სა ახალს სამინისტროს ნდობა გამოუცხადა.

*) ამ ფულისა გვქონდა 2 მან., შესდგა 9 მან.

რედ.

### პეტერბურგის ბირჟა, 27 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,04 | 8,07 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 161 | $161^3/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $243^1/_2$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $221^3/_4$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | $193^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . | 102 | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | 102 | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $98^1/_2$ | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

#### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

#### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.


## განცხადებანი

### კბილის ექიმი
### ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—144)

## ახალი ბუფეტი

„პიურ-მარილი—საქართველო“

გოლოვინის პროსპექტი, სახლი შაბუროვისა, ცირკის გვერდზედ.

29 ნოემბრიდგან ჩემი ბუფეტი გადმოვიტანე „სტრელნა“-ს ბაღიდგან და აქ გავმართე ახალი ბუფეტი. ბუფეტში მოიპოვება ყოველ გვარი **სასმელები** და აზიურ—ევროპიული საჭმელები. საჭმელები მუდამ ახალ სანოვაგისაგან და სუფთად მზადდება. ფასები ზომიერია; მოსამსახურენი ზრდილობიანად და თავაზიანად იქცევიან.

მელქო გორგიჯანოვი

(1—1)

## კახურის ღვინის ვაჭრობა

## ალექსანდრე ემელიანის ძის თუნიევისა.

ვუცხადებთ ჩვენს მუშტრებს და სხვათაც, რომ ტფილისში (მიხეილის ქუჩაზედ, № 72, მიხეილის საავადმყოფოს ახლოს) კახურის ღვინის ვაჭრობა გვაქვს გამართული 1870 წლიდგან. თუ შემოგვიკვეთავს ვინმე, კარგის ღირსებისას და პირიან ფასად ვგზავნით ღვინოს ყველგან. საუკეთესო ღირსების ღვინოების ყიდვისათვის შემდეგი ჯილდოები გვაქვს მიღებული.

პარიჟიდგან დიდი ვერცხლის მედალი, ჟენევიდგან (შვეიცარიაშია) დიდი ოქროს მედალი და პირველი ჯილდო ლენტით, ბრიუსელიდგან (ბელგიაშია) დიდი ოქროს მედალი, მარსელის აკადემიისაგან ორდენი საპატიო ლეგიონისა ლენტით, ნიცადგან (საფრანგეთშია) დიდი ოქროს მედალი და ჯვარი ლენტით აჟასიოდგან (საფრანგეთშია) დიდი ოქროს მედალი და ჯილდო ლენტით, ბორდოდგან (საფრანგეთშია) დიდი ოქროს მედალი და ჯვარი ლენტით, პ რიჟის აკადემიისაგან ღვინის ღირსების შედარების შემდეგ დიდი ოქროს მედალი, ლონდონიდგან (ინგლისშია) დიდი ოქროს მედალი ჯილდო ლენტით, ყაზანიდგან ვერცხლის მედალი, ტფილისის მიხე ლის საავადმყოფოსაგან ვერცხლის მედალი და ნიდერლანდის სამეფოდგან დიდი ოქროს მედალი და ნიშანი ლენტითურთ.

მ ო წ მ ო ბ ა ნ ი:

კავკასიის გამოფენის საპატიო მოწმობა, დიპლომი პარიჟის აკადემიისა, მე-43 დრაგუნთა ტვერის პოლკის მოწონების ფურცელი, მოწმობა ტფილისის მიხეილის საავადმყოფოსი, მოწმობა ამავე საავადმყოფოს ექიმებისაგან, მოწმობა კავკასიის სამკურნალო მმართველობისაგან, მოწმობა რკინის გზის სამკურნალოსაგან და მოწმობავე კავკასიის საზოგადო პრიკაზისაგან.

წიგნის მოსაწერი ადრესი: ქ. ტფილისი, ალექსანდრე თუნიევს (ღვინის საწყობი მიხეილის ქუჩაზედ, № 72.).

ალექსანდრე ე. თუნიევი.

(10—165—6)



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: გუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.


Доз. ценз. Тифлисъ, 28-го Ноября 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.